პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი — Боевой страж

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

4 ივლისი, შაბათი. 1987 წ. № 1 (3003) 4 ИЮЛЯ, СУББОТА, 1987 Г. ფასი 3 კაპ. ЦЕНА 3 КОП.

## ახალი ამოცანები, პერსპექტივები

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის პირობებში, როდესაც სულ უფრო მკვიდრდება მოვლენებისა და ფაქტების რეალისტური შეფასება, შეურიგებლობა ნაკლოვანებებისადმი, იხვეწება ხალხთან მუშაობის ფორმები და მეთოდები, განსაკუთრებულად იზრდება ბეჭდვითი სიტყვის როლი და მნიშვნელობა. პერიოდული პრესა, როგორც საერთო პარტიული საქმიანობის შემადგენელი ნაწილი, განიხილება საჯაროობის ქმედით საშუალებად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობაზე საჯაროობას პრინციპული პოლიტიკური საკითხი ეწოდა და ხაზი გაესვა, რომ „საჯაროობის გარეშე არ არის და არც შეიძლება იყოს დემოკრატია, მასების პოლიტიკური შემოქმედება, მათი მონაწილეობა ქვეყნის მართვაში“.

დღეს, როდესაც განახლდა გაზეთ „მებრძოლი გუშაგის“ გამოცემა, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა, პოლიტიკური განყოფილება და პარტიული კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებასა და მზრუნველობას იჩენენ, რათა მიზანდასახულად წარმართოს რედაქციის საქმიანობა, გაზეთი გახდეს გარდაქმნის უშუალო ორგანიზატორი, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის თანაშემწე და თანამდგომი აქტუალური პრობლემების დაყენებისა და გადაწყვეტის საკითხში. მუშაობის ახალი სტილის, ახლებური აზროვნების, ორგანიზებულობის, ინიციატივიანობის დამკვიდრებისა და მოწინავე გამოცდილების პროპაგანდასთან ერთად თამამად იბრძოდეს ყოველივე ნეგატიურის გამოსააშკარავებლად, გამოდიოდეს კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით; დემოკრატიული პრინციპების გაღრმავების საფუძველზე უფრო ახლოს მივიდეს მკითხველთან, გამართოს გულახდილი საუბარი, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს პროფილაქტიკურ მიმართულებას, ორგანოს მუშაკთა შორის სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საკითხს.

რედაქციის კოლექტივს კარგად ესმის დღევანდელი „მებრძოლი გუშაგის“ წინაშე მდგარი ამოცანების მთელი პასუხისმგებლობა და განზრახული აქვს დადგეს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების გარდაქმნის მოწინავე პოზიციებზე, გაზეთი ობიექტური ინფორმაციის მიწოდების ერთ-ერთი მთავარი წყარო, ავტორიტეტული ორგანო უნდა გახდეს.

შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობის გარდაქმნა ნიშნავს მისი მუშაობის დონის შემდგომ ამაღლებას, მილიციის ავტორიტეტის ზრდას, ამ ავტორიტეტს კი უმთავრესად განსაზღვრავს ადამიანის ფაქტორი, ჩვენივე თანამშრომელთა კომპეტენტურობა, რის მოუწესრიგებლად ძნელია წარმატების მიღწევა. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში მიღწეული დადებითი ძვრების მიუხედავად, საზოგადოებრივი აზრი მუდამ მილიციის სასარგებლოდ როდი მეტყველებს.

„მებრძოლი გუშაგის“ უმთავრესი ამოცანაა უკულტურობის, უხეშობის, გულგრილობის, ბიუროკრატიზმის, უკანონობისა და უპატიოსნობის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა.

სამართლიანობა, კომპეტენტურობა, კეთილმოსურნეობა, უკომპრომისობა, ზუსტი მისამართი — ამ ნიშნებით ესახება რედაქციას თავისი პუბლიკაციების ხასიათი, რაც ქმედითად უნდა ემსახურებოდეს პირადი შემადგენლობის პოლიტიკური და ზნეობრივი სახის ჩამოყალიბების ამოცანას.

გაზეთი დიდ ყურადღებას დაუთმობს მოწინავე გამოცდილების პროპაგანდას, თანამშრომელთა სამუშაო და ყოფითი კულტურის საერთო დონის შემდგომი ამაღლების, ნორმალური შრომისა და დასვენების პირობების შექმნის საკითხებს.

წინა პლანზე წამოიწევს შექმნილი ოპერატიული ვითარების ანალიზი, სამინისტროს მიერ დასახულ მნიშვნელოვან ღონისძიებათა შესახებ პირადი შემადგენლობის დროული და სრული ინფორმირება. გაზეთი თავის ფურცლებზე დიდ ადგილს დაუთმობს მოწინავე სამსახურებისა და თანამშრომლების წარმოჩენას, რაც კარგი ორიენტირი იქნება ახალგაზრდა მუშაკებისათვის.

რედაქციას განზრახული აქვს — თავის მრავალწლიან მოწინავე ტრადიციებზე დაყრდნობით—თანამედროვე გარდაქმნის მოთხოვნათა შესაბამისად, დაამკვიდროს მუშაობის ახალი ფორმები და მეთოდები.

მიმდინარე საკითხების ოპერატიული და რეალისტური ასახვისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რედაქციის ინფორმირებულობას, მის ურთიერთკავშირს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების ყველა რგოლთან, პოლიტიკურ სამსახურთან, პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან, საზოგადოებრივ ფორმირებებთან და შტატგარეშე კორესპონდენტებთან. მათ სისტემატიურად უნდა მოგვაწოდონ მასალები აქტუალურ თემებზე.

დღეს, როდესაც ძველი — რუტინული ჯიუტად წინ ეღობება ახალს — პროგრესულს, რედაქცია იმედოვნებს, რომ მკითხველთა გამოხმაურება და აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია მნიშვნელოვნად განსაზღვრავს გაზეთის სწორ მიმართულებასა და ბრძოლისუნარიანობას. მადლიერების გრძნობით მივიღებთ და გავითვალისწინებთ თქვენს წინადადებებს და შენიშვნებს. საჯაროობის მთავარი იარაღი მისი რეალისტურობაა, ხოლო რეალიზმი მხოლოდ წარმატებები როდია, სწორედ ამიტომ დაუფარავად, პარტიული პრინციპულობით უნდა ვამხილოთ გადახვევები, რათა ისინი გამოუსწორებელ შეცდომებში არ გადაიზარდონ.

გვინდა მკითხველმა იცოდეს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, მის თანამშრომელთა პრობლემები, წარუმატებლობა და სატკივარი „მებრძოლი გუშაგის“ პრობლემები, წარუმატებლობა და სატკივარი იქნება; ასევე გავიზიარებთ წარმატებასაც და სიხარულსაც.

რედაქცია იმედოვნებს, რომ ერთობლივი მეცადინეობით ხელს შევუწყობთ სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, პირადი შემადგენლობის შეკავშირებასა და დარაზმვას, მისი ბრძოლისუნარიანობის შემდგომ ამაღლებას რესპუბლიკაში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარების საქმეში, რათა ღირსეულად შევხვდეთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და საბჭოთა მილიციის შექმნის 70 წლისთავის მოახლოებულ დღესასწაულებს.

**СРЕДСТВА МАССОВОЙ ИНФОРМАЦИИ ПРИЗВАНЫ РАЗВЕРТЫВАТЬ ПРИНЦИПИАЛЬНУЮ И КОНСТРУКТИВНУЮ КРИТИКУ НЕДОСТАТКОВ И УПУЩЕНИЙ. ШИРОКО ПОКАЗЫВАТЬ ОПЫТ РАБОТЫ ТРУДОВЫХ КОЛЛЕКТИВОВ, ПАРТИЙНЫХ ОРГАНИЗАЦИЙ, ВСЕХ КАДРОВ В НОВЫХ УСЛОВИЯХ, ПОМОГАТЬ ИМ ПЕРЕСТРАИВАТЬСЯ В ДУХЕ ВРЕМЕНИ.**

Из материалов январского (1987 г.) Пленума ЦК КПСС.

### РЕДАКЦИИ ГАЗЕТЫ «БОЕВОЙ СТРАЖ»

Вновь увидела свет газета «Боевой страж», вновь во всех уголках республики работники органов внутренних дел узнают с ее страниц о том, чем живет милиция Грузии. Славные традиции продолжает сегодня новый, молодой коллектив редакции. Впереди много работы — завоевание авторитета у читателей, создание широкого авторского актива.

Желая сегодня «Боевому стражу» стать боевым органом, борцом переднего края за укрепление социалистического правопорядка, социалистической законности, мы от всего сердца говорим: «В добрый путь, наш младший брат!»

КОЛЛЕКТИВ РЕДАКЦИИ ЖУРНАЛА МВД СССР «СОВЕТСКАЯ МИЛИЦИЯ».

## В ЦК КП ГРУЗИИ

На состоявшемся 23 июня заседании бюро ЦК КП Грузии заслушан доклад секретаря партийного комитета МВД Грузинской ССР И. Челидзе о проводимой работе по повышению роли и ответственности коммунистов аппарата за состояние борьбы с преступностью и охраны общественного порядка, укрепление дисциплины и социалистической законности в органах внутренних дел. Отметив, что, несмотря на осуществленные партийным комитетом МВД ГССР меры по повышению ответственности руководящих работников, коммунистов аппарата за конечные результаты работы, многие острые проблемы по-прежнему остаются нерешенными, бюро ЦК КП Грузии обязало партком министерства разработать и осуществить дополнительные мероприятия по дальнейшему усилению партийного влияния на совершенствование служебной деятельности аппарата. Коллегии и политическому отделу МВД ГССР совместно с партийным комитетом поручено обеспечить неуклонное проведение в жизнь требований партии о перестройке деятельности органов внутренних дел, воспитании личного состава в духе строжайшего соблюдения законности, честного и бескомпромиссного выполнения своего служебного долга.



## საზოგადოებაზე დაყრდნობით

**გაიმართა** საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის მორიგი სხდომა, რომელიც მიეძღვნა უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგებსა და ამ მიმართულებით მუშაობის გაძლიერების ამოცანებს.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის წევრების გარდა სხდომას ესწრებოდნენ დედაქალაქის ადგილმრეწვის საყოფაცხოვრებო ორგანიზაციების, მსხვილი სამრეწველო-დაწესებულებების დირექტორები, პარტიული ორგანიზაციების მდივნები, საკონტროლო-სარევიზიო სამსახურის წარმომადგენლები, ფინანსთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები, დედაქალაქის საშუალო სკოლების დირექტორები, სამინისტროს სოცსაკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის

(დასასრული მე-2 გვ.).

**სურათზე:** საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის სხდომაზე.
რ. ანტონიანის ფოტო.

## СОВЕРШЕНСТВОВАТЬ РАБОТУ КОМСОМОЛЬСКОГО АКТИВА

26 июня нынешнего года в доме культуры им. Дзержинского состоялось собрание комсомольского актива МВД ГССР, в ходе которого был рассмотрен вопрос о задачах комсомольских организаций органов и подразделений министерства внутренних дел республики по выполнению решений XX съезда ВЛКСМ и XXXIII съезда комсомола Грузии.

В работе собрания приняли участие начальник отдела по работе среди комсомольцев Политического управления МВД СССР, член ЦК ВЛКСМ подполковник внутренней службы В. М. Тюсов, инструктор отдела административных органов ЦК КП Грузии Г. В. Беруашвили, заведующий отделом пропаганды и культмассовой работы ЦК ЛКСМ Грузии Д. Б. Буадзе, начальник политического отдела МВД ГССР полковник милиции А. З. Анкваб, заместитель министра внутренних дел ГССР полковник внутренней службы Э. Л. Васильев, начальники политотделов МВД автономных республик, УВД, ГУВДТ и их помощники по комсомольской работе, начальники политчастей, руководители и секретари первичных партийных организаций ряда горрайлинорганов, более четырехсот представителей первичных и цеховых комсомольских организаций.

Собрание вступительным словом открыл начальник политического отдела МВД ГССР А. Анкваб. Затем перед участниками актива с докладом «О повышении роли комсомольских организаций органов и подразделений внутренних дел в решении оперативно-служебных задач, коммунистическом воспитании молодых сотрудников в свете решений XX съезда ВЛКСМ, речи на нем Генерального секретаря ЦК КПСС товарища М. С. Горбачева» выступил начальник отдела по работе среди комсомольцев Политического управления МВД СССР, В. Тюсов.

Докладчик отметил, что комсомольцы МВД республики вместе со своими старшими товарищами-коммунистами активно участвуют в выполнении требований XXVII съезда партии, апрельского (1985 г.) и январского (1987 г.) Пленумов ЦК КПСС по коренной перестройке работы органов внутренних дел. Под руководст-

(Окончание на 2-й стр.).

# СОВЕРШЕНСТВОВАТЬ РАБОТУ КОМСОМОЛЬСКОГО АКТИВА

(окончание).

вом политаппарата, партийных организаций комитеты комсомола нацеливают молодых сотрудников на совершенствование своего профессионального мастерства, активизацию усилий по укреплению социалистической законности, охране прав и законных интересов граждан.

В комсомольских организациях МВД ГССР все больше утверждаются принципы гласности, правдивости, критики и самокритики, нетерпимости к недостаткам, творческого подхода к выполнению служебных обязанностей. Ведется целенаправленная работа по укреплению дисциплины личного



состава, искоренению стяжательства, моральной нечистоплотности и других негативных явлений, все еще бытующих среди отдельных молодых сотрудников. Однако, наметившиеся в последнее время положительные тенденции, продолжил далее товарищ В. Тюсов, являются только началом той большой работы, которая должна быть проведена в соответствии с решениями XXVII съезда КПСС и XX съезда ВЛКСМ, партийного и комсомольского форумов республики.



Выступившие в прениях по докладу помощник начальника политического отдела МВД ГССР по комсомольской работе капитан милиции М. Якобашвили, секретарь комсомольской организации Цхинвальского ГОВД лейтенант милиции А. Кочиев, начальник политотдела УВД Тбилгорисполкома майор милиции В. Санадзе, секретарь комсомольской организации Сухумского ГОВД старшина милиции Т. Шикирба, заместитель секретаря комсомольской организации учебного центра МВД ГССР лейтенант милиции А. Гендзехадзе и другие участники собрания активно, с большой заинтересованностью в решении наболевших вопросов обсудили положение дел в комсомольских организациях своих подразделений.

Было отмечено, что на сегодняшний день каждый четвертый сотрудник МВД республики — комсомолец, что, естественно, налагает на комсомольские организации особую ответственность за мобилизацию молодых сотрудников на укрепление дисциплины и социалистической законности, достижение высоких конечных результатов в борьбе с правонарушениями и преступностью.

Достигнутые в целом неплохие результаты, отмечали участники собрания, не могут служить причиной для самоуспокоенности, так как в деятельности комсомольских организаций есть еще немало недостатков и нерешенных проблем, уровень их работы по идейно-политическому, профессиональному и нравственному воспитанию молодых сотрудников, обеспечению высокой правовой культуры в работе все еще не отвечает предъявляемым на сегодняшний день требованиям.

Особую тревогу участники собрания высказали по поводу имеющихся серьезных просчетов в подборе, расстановке и закреплении кадров. Зачастую эта работа сводится к простому набору кадров, в результате чего среди молодых сотрудников, в том числе и членов ВЛКСМ, все еще не изжиты факты нарушений дисциплины и законности, нетактичного отношения к гражданам, пьянства, совершаются преступления. Отмечались отсутствие широкой практики отчетов молодых сотрудников перед рекомендовавшими их на работу в МВД трудовыми коллективами, формализм в наставничестве и организации шефской помощи детским домам и школам-интернатам, слабая постановка вопросов физической подготовки молодых сотрудников, организации их культурного досуга.

Участники собрания по-деловому, откровенно и всесторонне обсудив все наболевшие вопросы наметили пути их скорейшего и успешного решения и приняли соответствующее постановление.

НА СНИМКАХ: выступает член ЦК ВЛКСМ, начальник отдела по работе среди комсомольцев Политического управления МВД СССР подполковник в/с В. М. Тюсов; участники комсомольского актива МВД ГССР обсуждают итоги собрания.

# თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე

პოლიტიკური სწავლების სისტემაში ჩატარდა 1986-87 სასწავლო წლის შემაჯამებელი მეცადინეობები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს სამინისტროს ხელმძღვანელმა მუშაკებმა.

**თბილისი**

თბილისის შ ს სამმართველოს საგამოძიებო განყოფილებაში მეცადინეობა ბილეთების სისტემით ჩატარდა (პროპაგანდისტი შ. ფიცხელაური).

შემაჯამებელ მეცადინეობას დაესწრო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი, მილიციის მაიორი შ. კაცაძე.

**სოხუმი**

სოხუმის საქალაქო განყოფილებასთან არსებული სამედიცინო გამოსაფხიზლებლის პოლიტიკური სწავლების ჯგუფში (პროპაგანდისტი ს. გოგია) მეცადინეობის თემები დაკავშირებული იყო სამედიცინო გამოსაფხიზლებლის ამოცანებთან.

მეცადინეობას დაესწრო აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, მილიციის პოლკოვნიკი ე. ნარმანია.

**ცხინვალი**

სამხრეთ ოსეთის შს სამმართველოს პოლიტსწავლების ჯგუფში (პროპაგანდისტი ს. სანაკოევი) ყურადღება გამახვილდა უშრომელი შემოსავლის, დისციპლინისა და სოცკანონიერების განმტკიცების საკითხებზე.

მეცადინეობას დაესწრო სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამმართველოს პოლიტგანყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი ს. ლიპონი.

**ქობულეთი**

ქობულეთის შ ს განყოფილების ჯგუფში, რომელსაც ხელმძღვანელობს პროპაგანდისტი რ. ჯორთმენაძე, მეცადინეობაზე ძირითადი ყურადღება გამახვილდა 1987 წლის ივნისის პლენუმის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ნოემბრის დადგენილების ცხოვრებაში განუხრელად გატარების საკითხებზე.

მეცადინეობაში მონაწილეობდა აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრი, მილიციის პოლკოვნიკი მ. ბეჟანიძე.

დეპუტატის ტრიბუნა

# ხალხის ინტერესებისათვის

**21 ივნისს ჩატარდა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნები. გთავაზობთ საუბარს გორის საქალაქო საბჭოს დეპუტატთან. გორის შს საქალაქო განყოფილების უფროსის მოადგილესთან პოლიტდარგში მილიციის კაპიტან ნ. დალაქიშვილთან.**



**— გილოცავთ დეპუტატად არჩევას. რას გვეტყვით ამ ფაქტთან დაკავშირებით?**

— თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში არის დღეები, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ. ჩემთვის ერთ-ერთ ასეთ დღედ იქცა მიმდინარე წლის 21 ივნისი, როდესაც ამირჩიეს გორის საქალაქო საბჭოს დეპუტატად. განსაკუთრებული გრძნობა დამეუფლა, როცა გორის შს საქალაქო განყოფილების პირადმა შემადგენლობამ, ჩემს ცხოვრებაში პირველად, დეპუტატობის კანდიდატად დამასახელა. შემდეგ იყო შეხვედრა ამომრჩევლებთან, სადაც ნათლად გამოჩნდა ამ მისიის განსაკუთრებულობა. ეს მეტად საპასუხისმგებლო და საპატიო მოვალეობაა.

**— რაში ხედავთ დეპუტატის და, კერძოდ, თქვენი, როგორც შინაგან საქმეთა ორგანოს წარმომადგენლის მისიას, პასუხისმგებლობას ხალხის წინაშე, როგორც მილიციის მუშაკი და პირიქით, როგორც ხალხის რჩეული მილიციის წინაშე.**

— ორივე შემთხვევაში უმთავრეს საკითხად მიმაჩნია ხალხის კანონიერი მოთხოვნების დაცვა, რასაც კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი „სოციალისტური კანონიერების და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების, მოქალაქეთა უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის 20 ნოემბრის დადგენილებასა და საკავშირო და ჩვენი რესპუბლიკის შ.ს სამინისტროს შესაბამის ბრძანებებში.

როგორც დეპუტატი — მილიციის მუშაკი, ჩემს უმთავრეს პასუხისმგებლობას ხალხის წინაშე ვხედავ იმაში, რომ სრულფასოვნად გავატარო ცხოვრებაში როგორც დეპუტატის განაწესი, ისე მილიციის მუშაკის ფიცი. ჩემი თანამშრომლების წინაშე ვალდებული ვარ ვიყო მათი ღირსეული წარმომადგენელი.

**— როგორ გესახებათ გადასაჭრელი პრობლემები, ამომრჩევლებთან ურთიერთობა?**

— საფუძვლიანად უნდა გავერკვე ყველა იმ საკითხში, რომლებიც აღელვებს საარჩევნო უბნის მოსახლეობას.გორში ძლიერდება ოპერატიული ვითარების გაუმჯობესების ტენდენცია. მიმდინარე წლის 6 თვის შედეგების მიხედვით 32,3 პროცენტით შემცირდა საერთო დანაშაულის რაოდენობა, მათგან სისხლის სამართლის ხაზით დანაშაული — 29,8 პროცენტით; დანაშაულის გახსნის პროცენტი 9,8-ით გაიზარდა და 97 პროცენტი შეადგინა. ადგილი არ ჰქონია თანამშრომელთა მხრიდან სოციალისტური კანონიერების დარღვევის ფაქტებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველაფერი უკვე მოწესრიგებულია. მოსახლეობას აქვს შენიშვნები საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის, სპეკულაციის, სხვა ნეგატიური გამოვლინებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიმართულებით. მოსაგვარებელია ზოგიერთი ყოფითი საკითხიც.

დაგეგმილი მაქვს სისტემატური შეხვედრები ამომრჩევლებთან და ამას არ მინდა ჰქონდეს მხოლოდ მოვალეობის მოხდის სახე, ყოველი შეხვედრა იქნება ერთგვარი ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. განზრახული მაქვს აქტიურად ჩავება ჩემი უბნის მოსახლეობა სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში.

**— რას გვეტყვით კონკრეტულად თქვენს უბანზე, მის სპეციფიკურ თავისებურებებზე?**

— ჩემი, როგორც დეპუტატის მოვალეობაა გორის ი. ბ. სტალინის სახელობის ქუჩის და მისი მიმდებარე ტერიტორიის დეპუტატთა ჯგუფის ხელმძღვანელობა. აქ 3 ათასამდე მოსახლეა. ეს არის ქალაქის ცენტრალური ნაწილი, სადაც ყოველდღიურად კავშირის სხვადასხვა კუთხიდან და საზღვარგარეთიდან ჩამოსული ასობით სტუმარი იყრის თავს. შესაბამისად საზრუნავიც ბევრია, ყოველთვის და ყველაფერი სრულ წესრიგში უნდა იყოს.

ამ მიმართულებით მუშაობის შემდგომი სრულყოფის თაობაზე მიღებული გვაქვს ზემდგომი ორგანოების დირექტიული მითითებები, რომელთა შესრულებაც ბევრად შეუწყობს ხელს მოსახლეობის მოთხოვნების რეალიზებას. მოსახლეობასთან საქმიანი კონტაქტების გაღრმავებას, მათი კანონიერი ინტერესების დაცვას.

**— დიდი მადლობა საუბრისათვის, გისურვებთ წარმატებებს, მომავალ შეხვედრამდე.**

საუბარი მიჰყავდა **ა. კობალაძეს.**

# НАГРАЖДЕНИЯ

29 июня в МВД Грузинской ССР награждена группа сотрудников органов внутренних дел республики:

**ПОЧЕТНЫМИ ГРАМОТАМИ МВД ГССР**

подполковник милиции **Мосиашвили Нодар Шотаевич,** начальник ОКС МВД ГССР,

капитан милиции **Цертлашвили Тамаз Николаевич,** старший инспектор ОД ДПС УГАИ МВД ГССР.

**НАГРУДНЫМ ЗНАКОМ «ЗА ОТЛИЧНУЮ СЛУЖБУ В МВД»**

подполковник милиции **Касрадзе Нодар Вахтангович,** старший оперуполномоченный УУР МВД ГССР,

подполковник милиции **Норакидзе Павел Давидович,** старший инспектор ОС УООП МВД ГССР,

майор милиции **Сулава Тамаз Акакиевич,** старший следователь по особо важным делам следственного управления МВД ГССР.

# საზოგადოებაზე დაყრდნობით

(დასასრული)

წინააღმდეგ ბრძოლის, სისხლის სამართლის სამძებრო, არასაუწყებო, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოების მუშაკები, უბნის ინსპექტორები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები.

სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა, სამინისტროს სოცსაკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს უფროსი, მილიციის პოლკოვნიკი გ. ჭანტურიშვილი.

კამათში გამომსვლელებმა ისაუბრეს კონკრეტულ სამრეწველო დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის შესახებ.

სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს უფროსმა, პოლკოვნიკმა ტ. ვარდანაშვილმა გააკეთა ინფორმაცია ერთ-ერთ შრომა-გასწორების დაწესებულებაში ქურდობისათვის ნასამართლევ პირთა შორის ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგების შესახებ.

სხდომამ რეკომენდაციები მისცა სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებს, აგრეთვე უბნის ინსპექტორებს.

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის წინადადებით საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტთან შეიქმნა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სექცია.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა, შინაგანი სამსახურის გენერალ-მაიორმა.

**შ. გორგოძემ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# КРЕПНУТ ДЕЛОВЫЕ КОНТАКТЫ

Давно уже стали доброй традицией деловые контакты сотрудников органов внутренних дел нашей республики и братских социалистических стран. Так, на днях группа руководящих работников уголовного розыска и БХСС МВД Венгерской народной республики ознакомилась с опытом и организацией деятельности по предупреждению и раскрытию преступлений УУР, УВД Тбилгорисполкома и Горийского ГОВД.

Венгерские гости изучили также организацию и тактику предотвращения хищений социалистической собственности, взаимодействие аппарата УБХСС с государственными учреждениями и общественными формированиями республики.



НА СНИМКЕ: группа сотрудников МВД ВНР.

## ტელეფონის ხაზზეა დუშეთი:

# სტიქიასთან ბრძოლაში

**დუშეთის შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტ-დარგში ნ. ოზბაიძე გვატყობინებს:**

მაისის ბოლოს, როცა გვეგონა, რომ ბუნების სტიქიით გამოწვეული მოსალოდნელი, საშიშროება უკვე ჩავლილი იყო, რაიონის მთის სოფლებს თავს დაატყდა წყალდიდობა და ღვარცოფი, მეწყერი მოულოდნელად მოწყდა და ხევში ჩაქანდა ჩარგლის გზის მნიშვნელოვანი მონაკვეთი, ყოფშის მხრიდან გამოვარდნილმა ღვარცოფმა მთლიანად წალეკა ჟინვალი-შატილის გზის დიდი ნაწილი, წყალდიდობებმა სერიოზული საშიშროება შეუქმნა სოფელ კორშას — ხევსურეთში, გამსს, ზანდუკს — გუდამაყარში, დაბა ფასანაურს, ხოლო ხადიბაანთ, არახვეთისა და ჩოხელის ხევებიდან მოვარდნილმა ღვარცოფებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. წაშოლეკა საცხოვრებელი სახლები, ეზო-კარმიდამოები, პირუტყვი, დაიღუპა ერთი ოჯახის ექვსი წევრი.

ამ საგანგებო ჟამს განსაკუთრებით გამოვლინდა ჩვენი განყოფილების პირადი შემადგენლობის მობილურობა, ორგანიზებულობა.

საშიში ზონიდან მოსახლეობის ოპერატიულად ევაკუაცია, საქართველოს სამხედრო გზაზე, სადაც ღვარცოფისაგან ჩაიკეტა მოძრაობა, სათანადო წესრიგის შენარჩუნება, ავტოტრანსპორტის ნორმალური მოძრაობა, მისი ოპტიმალურად გამოყენება. ყოველივე ეს სათანადოდ იქნა უზრუნველყოფილი ჩვენი მუშაკების მოქნილი, გააზრებული, ინიციატივიანი, ოპერატიული მოქმედებით. რეგიონში პრაქტიკული დახმარების გაწევის მიზნით ჩამოვიდნენ საქართველოს სსრ შს მინისტრის მოადგილე, შ/შ გენერალ-მაიორი ვ. ი. შადური, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს უფროსი, შ/ს პოლკოვნიკი გ. ვ. ბიჭაშვილი და სამინისტროს სხვა პასუხისმგებელი მუშაკები.

სტიქიური უბედურების დროს გამოჩენილი მამაცობისა და მაღალი დისციპლინისათვის საქართველოს სსრ შს სამინისტროს ბრძანებით წახალისდნენ განყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი ა. ბარამაშვილი, უფროსის მოადგილე ოპერატიულ დარგში, მილიციის მაიორი ზ. მელიწკაური, საგზაო-საპატრულო სამსახურის უფროსი ინსპექტორი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი თ. ბექაური, ამავე სამსახურის ინსპექტორი, მილიციის სერჟანტი ბ. მიშელაშვილი, სახელმწიფო ავტოინსპექციის ინსპექტორები, მილიციის კაპიტანი ს. ზაქაიძე, უფროსი სერჟანტი თ. ცოცხალაშვილი და უმცროსი სერჟანტი ბ. ჭინჭარაული, სისხლის სამართლის სამძებროს ქვეგანყოფილების ოპერრწმუნებული, მილიციის კაპიტანი ი. ჩოხელი, უბნის ინსპექტორები, მილიციის უფროსი ლეიტენანტები თ. ლომაშვილი და ბ. თეთრუაშვილი.

ბოლო დღეებში ბუნებამ გული მოიბრუნა, უკუიქცა წვიმა და თქეში, დაიწყო მზიანი დღეები, დუშეთის რაიონი იშუშებს სტიქიით მიყენებულ წყლულებს.

ЛЮДИ СОВЕТСКОЙ МИЛИЦИИ

# По зову сердца

В жизни каждого человека бывают минуты, когда диктуемая долгом перед людьми необходимость вступить в открытую схватку со злом заставляет забыть об опасности. Именно такая минута наступила для помощника дежурного I отделения ОВД района им. 26 комиссаров Теймураза Шубитидзе в одну из апрельских ночей нынешнего года, когда ему пришлось стать на пути трех угнавших чужую машину злоумышленников, с риском для жизни предотвратить возможно более тяжкое преступление.

Мужественный поступок молодого сотрудника милиции, широко освещавшийся на страницах республиканской прессы, вызвал естественный интерес к его личности, еще раз поведал всем о нелегкой, но очень нужной людям работе тех, кого уважительно называют стражами порядка.

Кто же он, «герой нашего времени», в чем нравственная основа его самоотверженных действий? Внешне Теймураз совершенно обычный парень — среднего роста, отнюдь не атлетического телосложения, простой и открытый в общении. Биография его тоже вообще-то не очень примечательна, похожа на многие биографии его сверстников, приближающихся к тридцатилетнему рубежу. Окончил школу в Гардабанском районе, работал слесарем на одном из руставских заводов, служил в армии.

Двумя почетными грамотами был отмечен ратный труд механика-водителя танка Т. Шубитидзе и, пожалуй, именно в нелегкой солдатской службе произошло окончательное мужание его характера, выработалось обостренное чувство долга и ответственности за порученное дело. Тогда же было принято окончательное решение продолжить службу в рядах советской милиции, посвятить себя делу защиты социалистической законности и правопорядка. Сказалась на этом решении и определенная семейная традиция — дед Теймураза, Заурбек Соломонович Тваури, еще в тридцатые годы работал в



органах внутренних дел республики, более четверти века трудится в системе министерства и его мать — Меделя Заурбековна Тваури.

Нелегко давалась поначалу новая служба, были и, что греха таить, взыскания от начальства, но первые трудности не смутили Теймураза, только укрепили его уверенность в правильности избранного пути. Постепенно пополнялся багаж знаний, совершенствовалось профессиональное мастерство. Пришла и рождаемая опытом уверенность в своих силах. Шесть благодарностей украсили в последнее время послужной список Т. Шубитидзе, в конце прошлого года он был награжден медалью «За безупречную службу» III степени, а сейчас представлен к нагрудному знаку «Отличник милиции».

«За добросовестное отношение к служебным обязанностям, за умелые действия по задержанию преступников, находчивость и оперативность...» — вчитываясь в эти скупые формулировки приказов четко осознаешь, как нелегок его каждодневный труд, требующий порой полного напряжения всех душевных и физических сил.

Дома, где ждут его мать, жена Лейла, две очаровательные девочки Тамрико и Медико, сын Зураб, которому в этом году предстоит впервые переступить порог школы, Теймураз никогда не рассказывает об опасностях своей работы. Не хочет, и это вполне понятно, волновать своих близких, тем более, что поводы для этого бывают довольно часто. Как, например, в тот день, когда при задержании опасного преступника ему пришлось перелезать с балкона одного дома на другой на высоте семи этажей. «Страшно было, конечно, я вообще боюсь высоты, — смущенно вспоминает этот случай Теймураз, — но ведь так надо было для дела...»

Надо... Это своего рода магическое слово не раз заставляло людей совершать поступки, становящиеся как бы концентрированным итогом всей прожитой жизни. Так было и в ту ночь, когда Теймураз, получивший в схватке шесть(!) ножевых ранений, сумел вместе со своим другом Резо Пуртояном и отважной женщиной Фатимой Чолокаури задержать одного из преступников и, буквально истекая кровью, доставить его в ближайшее отделение милиции. Не случайно и то, что в критический момент рядом оказался верный друг Резо, также не привыкший прятаться за чужие спины, нетерпимый ко всякого рода нарушениям общественного порядка. У Теймураза вообще много друзей. Это они отдали ему, когда понадобилось, свою кровь, во многом благодаря их усилиям, также как заботе врачей и близких, дела после ранения быстро пошли на поправку.

Сейчас Теймураз готовится выйти на службу, вновь занять свое место в строю, мечтает поступить в высшую школу милиции, повысить свою квалификацию — ведь современная служба в органах внутренних дел требует не только смелости и мужества, но и прочных профессиональных знаний. Хочется пожелать Теймуразу осуществить все задуманное, как прежде добросовестно и самоотверженно служить людям на своем нелегком посту.

А. ЦАТУРОВ

## ТОЛЬКО ФАКТЫ

27 июня нынешнего года сотрудниками Цхинвальского ГОВД по «горячим следам» задержан учащийся Цхинвальского СПТУ-131 А. Гобозов, совершивший в этот же день квартирную кражу.

●

30 июня сотрудниками Цхалтубского ГОВД за повторное употребление наркотических веществ задержан гражданин Г. Джоджуа.

●

1 июля сотрудниками Новоафонского отделения милиции в с. Псырцха из дома Г. Шакрина, старшего моториста Новоафонской спасательной станции, изъята малокалиберная винтовка «ТОЗ-8».

# „წითელი მილიციელიდან“ „მებრძოლ გუშაგამდე“

## შს ორგანოების პრესის ისტორიიდან

შინაგან საქმეთა ორგანოების ჟურნალ-გაზეთების გამოცემას დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების პირველი დღეებიდანვე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა. 1917 წლის დეკემბერში რსფსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი გ. ი. პეტროვსკი ვ. ი. ლენინთან შეთანხმებით „შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის უწყებებს“ ქმნის, სადაც ქვეყნდებოდა ინსტრუქციები; განკარგულებები, ბრძანებები, სხვადასხვა მნიშვნელობის ნორმატიული და საკანონმდებლო აქტები. მასში პირველად გამოქვეყნდა ინსტრუქცია „მუშურ-გლეხური მილიციის ორგანიზაციის შესახებ“, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ახლადშექმნილი საბჭოთა მილიციის ორგანიზაციულ განმტკიცებაში. 1919 წლის 7 ნოემბერს გამოვიდა პეტროგრადის მილიციის ორგანოს ყოველკვირეული „კრასნი მილიციონერი“. მართალია, აღნიშნულ ყოველკვირეულს დიდხანს არ უარსებია, მაგრამ 1920 წლის მარტში მოსკოვში გამოსვლა დაიწყო „მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს სამმართველოს განყოფილების უწყებებმა“.. ამ გაზეთის ფურცლებზე სისტემატურად ქვეყნდებოდა შინაგან საქმეთა ორგანოების ცხოვრების აქტუალური საკითხები, მასში უხვად იყო გაშუქებული მილიციის ორგანოების საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი, განკარგულებები, გადაწყვეტილებანი, რომლებიც აწესრიგებდნენ სამართალდამცველი დანაყოფების მოღვაწეობას. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ „უწყებებში“ ხშირად ქვეყნდებოდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა და მილიციის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელ მუშაკთა წერილები, მოსახლეობის შენიშვნები და საქმიანი წინადადებები, მიმართული საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისაკენ.

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წინადადებით 1922 წლის 12 თებერვალს მილიციის მთავარმა სამმართველომ მკითხველთა ფართო საზოგადოებას მიაწოდა ჟურნალ „რაბოჩე-კრესტიანსკაია მილიციას“ პირველი ნომერი. მას შემდეგ მილიციის ჟურნალ-გაზეთების გამოცემა დაიწყო კიევში, ოდესაში, ლენინგრადში და სხვა ქალაქებში. საბჭოთა პრესის ისტორიაში კარგადაა ცნობილი გაზეთი „მებრძოლი გუშაგი“, რომლის წინამორბედი გაზეთებია „წითელი მილიციელი“ და „საბჭოთა მილიციელი“, რომლებიც სწორედ ზემოთ აღნიშნული „რაბოჩე-კრესტიანსკაია მილიციის“ რევოლუციურ ტრადიციებს აგრძელებდნენ.

გაზეთი „წითელი მილიციელი“ 1926 წელს შეიქმნა და მკითხველებმა იგი მიიღეს, როგორც საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა კომისარიატის მილიციის სამმართველოს ორგანო. ამ გაზეთის გამოცემის თარიღზე რატომღაც სხვადასხვა აზრი შეიქმნა. 1956 წლის 7 მარტს გაზეთმა „საბჭოთა მილიციელმა“ მკითხველებს მიაწოდა გაზეთის დაარსების 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ნომერი. მასში აღნიშნული იყო, რომ იგი გამოვიდა 30 წლის წინათ. შემდეგ კი გაზეთ „მებრძოლ გუშაგში“ 1969 წელს გამოჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ გაზეთი „წითელი მილიციელი“ 1930 წლიდან გამოდიოდა. და ვფიქრობთ, ეს უკანასკნელი ინფორმაცია ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

**პ. ხვიჩია,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სსრკ ჟურნალისტთა კავშირის წევრი.**

(გაგრძელება იქნება)

**მეცამეტე** ნომერი ბილეთი იღბლიანი გამოდგა ოჩამჩირელი უბნის ინსპექტორის, მილიციის ლეიტენანტ რ. ლასურიასთვის. სამივე კითხვაზე დამაჯერებლად უპასუხა, სპეცმომზადებაში საკმაოდ მაღალი ცოდნა გამოამჟღავნა და ზნაურელ მილიციის ლეიტენანტ მ. გურციშვილთან ერთად მესამე ეტაპზე მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სასწავლო ცენტრში ორ კვირას გრძელდებოდა შინაგან საქმეთა ორგანოების ახალგაზრდა თანამშრომელთა პროფესიული ოსტატობის რესპუბლიკური კონკურსი, რომელიც მიზნად ისახავდა მათი იდეურ-პოლიტიკური და ზნეობრივი დონის ამაღლებას, პროფესიული ოსტატობის სრულყოფას და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და საბჭოთა მილიციის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში აქტიურ ჩაბმას.

კონკურსში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა სამსახურის წარმომადგენლები, რომელთა ასაკი 28 წელს არ აღემატებოდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტგანყოფილების მითითების თანახმად კონკურსის პირველი ეტაპი ადგილებზე — ქალაქებში, რაიონებში, ავტონომიურ რესპუბლიკებში ჩატარდა. გამარჯვებულნი კი მეორე ეტაპზე მონაწილეობისათვის შეუერთდნენ თბილისელ კოლეგებს.

მილიციის ახალგაზრდა თანამშრომლები ერთმანეთს პოლიტიკურ, სპეციალურ, ტექნიკურ, საბრძოლო და ფიზიკურ მომზადებაში ეჯიბრებოდნენ. პირველ ორ პრიზიორს ფასიანი საჩუქრები და მესამე ეტაპზე მონაწილეობის საგზურები ელოდა, რომელიც აგვისტოსა და სექტემბერში გაიმართება საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში. საორგანიზაციო კომიტეტს თავმჯდომარეობდა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, შ/ს პოლკოვნიკი ე. ვასილიევი. მოადგილეები: კადრების სამმართველოს უფროსი, შ/ს პოდპოლკოვნიკი ო. გონაძე და პროფესიული მომზადების განყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი ლ. ჩაჩუა.



# საკავშირო კონკურსის ზღურბლთან

## დამთავრდა შინაგან საქმეთა ორგანოების ახალგაზრდა თანამშრომელთა პროფესიული ოსტატობის რესპუბლიკური კონკურსის მეორე ეტაპი

ამგვარი კონკურსი პირველად ჩატარდა რესპუბლიკაში, მაგრამ ორგანიზატორთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან საკმაოდ ორგანიზებულად ჩაიარა, რასაც ხელი შეუწყო ბაზამ — შ/ს სამინისტროს სასწავლო ცენტრმა (უფროსი, შ/ს პოდპოლკოვნიკი ბ. კარტოზია), რომელმაც კარგი მასპინძლობა გაუწია კონკურსის მონაწილეებს, ყველა პირობა შეუქმნა მათ ცოდნის სრულად გამოსამჟღავნებლად.

ქების ღირსია აფხაზეთის ასსრ-ს შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელმაც კონკურსზე საკმაოდ კარგად მომზადებული წარმომადგენლები გამოაგზავნა, მათი უმრავლესობა პრიზიორთა შორის მოხვდა. სამწუხაროდ, კონკურსმა პრობლემებიც წარმოაჩინა, კერძოდ, სახელმწიფო ავტოინსპექციის ზოგიერთმა წარმომადგენელმა ვერ გამოავლინა პროფესიული მომზადების ის დონე, რომელიც საკმარისი იქნებოდა მესამე ეტაპზე ღირსეულად ასპარეზობისათვის. ჩანს, პირველ ეტაპზე, ადგილზე არ გამოიჩინეს სათანადო დაინტერესება და შედეგიც გამოჩნდა. მართალია, კონკურსის პირობები შეზღუდული იყო, ეს განსაკუთრებით ასაკზე ითქმის, მაგრამ მიზეზების მოშველიება არ ამართლებთ მათ, როდესაც საქმე საკავშირო მასშტაბით რესპუბლიკის სახელის გატანას ეხება. რაც შეეხება სხვა სამსახურების თანამშრომელთა მომზადების დონეს, აქ ყველაზე უკეთ უბნის ინსპექტორები და სისხლის სამართლის სამძებროს ახალგაზრდა თანამშრომლები წარმოჩნდნენ. უბნის ინსპექტორთა შორის პირველი ადგილი ზნაურელმა მ. გურციშვილმა მოიპოვა, რომელმაც უკეთესი ფიზიკური მომზადების წყალობით (კროსში) გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ ოჩამჩირელ რ. ლასურიას; სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომლებს შორის გაიმარჯვა ქუთაისელმა ბ. ბოლქვაძემ, მეორე ასევე ოჩამჩირელი გ. ჯანაშია იყო.

მათ დანარჩენი სამსახურების ხაზით გამარჯვებულებთან ერთად შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელმა მუშაკებმა ფასიანი საჩუქრები და სიგელები გადასცეს.

— მიუხედავად იმისა, რომ მილიციის ახალგაზრდა თანამშრომლების პროფესიულ მომზადებაში ბევრი ნაკლია, — აღნიშნა სასწავლო ცენტრის უფროსის მოადგილემ სასწავლო ნაწილში, მილიციის მაიორმა ვ. ჭუბაბრიამ. — მაინც ოპტიმისტურად უნდა განვეწყოთ. ამგვარი კონკურსები უდავოდ სასარგებლო საქმეა, რადგან იგი თავისთავად ხელს უწყობს მათ დაოსტატებას, ჩვენც ყოველთვის მზად ვართ მასპინძლობა გავუწიოთ ამგვარ ღონისძიებებს. დანარჩენი თვით ახალგაზრდებზეა დამოკიდებული, უფრო მეტი უნდა იმუშაონ საკუთარ თავზე.

ჩვენც გვინდა დავძინოთ, რომ ახალგაზრდების პროფესიული მომზადების დონის ამაღლებაზე ახლავე უნდა ვიზრუნოთ, საკავშირო კონკურსამდე ცოტა დრო დარჩა და როდესაც საქმე ჩვენი რესპუბლიკის მილიციის პრესტიჟს ეხება, დასკვნით ეტაპზე ყველა ბილეთი „იღბლიანი" უნდა გამოდგეს.

**ვ. ნადირაძე.**



**სურათებზე:** კონკურსის მიმდინარეობის დროს.

**რ. ანტონიანის ფოტოები**

# ВЫСТАВКА НАУЧНЫХ РАБОТ

Интересная выставка научных работ сотрудников органов внутренних дел республики, успешно совмещающих четкое выполнение служебных обязанностей с исследовательской деятельностью, открылась недавно в помещении библиотеки информационного центра МВД ГССР.

На выставке посетители могут ознакомиться с такими интересными работами, как «Основы теории и практики оценки эффективности деятельности органов внутренних дел по раскрытию и профилактике преступлений» доктора юридических наук, автора двадцати научных работ Л. Берикашвили, «О взаимодействии следователей и оперативных работников при расследовании дел о хищениях социалистической собственности» преподавателя Академии МВД СССР, кандидата юридических наук А. Ахалая и многими другими.

«Подобная выставка авторефератов и диссертаций, защищенных сотрудниками органов внутренних дел республики, проводится впервые, — рассказывает старший инспектор ИЦ МВД ГССР Г. Коган, — ее целью является повышение уровня научных знаний и обобщение практического опыта работников министерства, оказание им помощи в дальнейшем совершенствовании оперативно-слубежной деятельности».

**А. ЛЬВОВ.**



# „იცხოვრო საქართველოთი და საქართველოსთვის"

**ეს** სათაური კინორეჟისორ რეზო თაბუკაშვილის იმ სიტყვებიდან მოვიხმეთ, რომელიც მან ძერჟინსკის სახელობის კულტურის სახლში შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებთან და მათი ოჯახის წევრებთან შეხვედრისას წარმოთქვა.

და დაგვეთანხმებით, რომ მისი ფილმების გმირებს, მათ ცხოვრებასა და მოღვაწეობას, თითოეულ გადადგმულ ნაბიჯს არცერთი სხვა ფრაზა არ მიესადაგებოდა.

რა ხშირიც უნდა იყოს ასეთი სახის კონტაქტები ჩვენს ცნობილ პიროვნებებთან, ყოველი ახალი შეხვედრა თუ საუბარი მათთან რაღაც ახალს, საინტერესოს გძენს და ასე იყო იმ დღესაც, როდესაც ბატონმა რეზომ ისაუბრა იმ სასიამოვნო და სრულიად მოულოდნელ აღმოჩენებზე და რიგ კრიტიკულ მომენტებზე, რომელიც მისი ფილმების შექმნას თან სდევდა საზღვარგარეთ.

ვისაც კი რეზო თაბუკაშვილის ფილმებისთვის თვალი უდევნებია, დარწმუნდებოდა, თუ რა დაუღალავი და მეტად რთული შრომა გასწია მისმა შემქმნელმა თითოეული მასალის მოპოვებისათვის, თითოეული ინფორმაციის მისაღებად... ეს პროცესი დღესაც გრძელდება. იბადება ახალი იდეები, მზადდება კიდევ ერთი ახალი ფილმი, რომელსაც ასე მოუთმენლად ელის ჩვენი საზოგადოება.

ძერჟინსკის სახელობის კულტურის სახლში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლების და მათი ოჯახის წევრებისთვის 19 ივნისიდან 29 ივნისამდე მიმდინარეობდა მისი ფილმების რეტროსპექტული ჩვენება დევიზით „კვალი ნათელი".

„იცხოვრო საქართველოთი და საქართველოსთვის"... — ეს ბატონი რეზოს მთელი ცხოვრების ყველაზე ზუსტი გამოხატულებააა...

**ზ. გომართელი.**

სპორტი

# ЗАПОЗДАЛЫЙ ШТУРМ

**Очередной календарный матч провели в среду, 1 июля, футболисты тбилисского «Динамо». На своем поле они принимали успешно выступающую в нынешнем чемпионате страны команду вильнюсского «Жальгириса».**

**Игра с первых же минут носила острый и бескомпромиссный характер. Тбилисцы, которых незавидное турнирное положение обязывает каждую игру проводить с полным напряжением сил, с самого начала встречи повели атаки на ворота соперника крупными силами и в ряде случаев были близки к успеху. Их, однако, подводила излишняя спешка при завершении атакующих комбинаций. На десятой минуте Гурули, оказавшись неприкрытым в самом центре штрафной площади, с пятишести метров умудрился не попасть в ворота, затем Жвания с той же позиции послал мяч в штангу.**

**Литовские футболисты отвечали острыми контратаками, и в начале второго тайма открыли счет — гол забил Баранаускас. Динамовцы ответили серией атак, носивших, однако, довольно сумбурный характер. Во время одной из них индивидуальный проход Гурули, обыгравшего подряд трех соперников, был остановлен в пределах штрафной недозволенным приемом, но Чивадзе не сумел реализовать пенальти.**

**Расплата за ошибку не замедлила последовать — через несколько минут Якубаускас отличным ударом со штрафного второй раз поразил ворота хозяев.**

**Лишь к концу матча динамовцы усилиями Гурули и Шенгелия сумели провести ряд острых атак, отквитать один мяч (Шенгелия на 85 мин.), но, не использовав несколько созданных на последних минутах голевых моментов, так и не смогли добиться желаемого результата.**

**А. ЛОМИДЗЕ**

СПОРТ

## დაჯილდოება

**სამამულო ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის და დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სპორტის დამსახურებული ოსტატი გივი დიმიტრის ძე ჩოხელი დააჯილდოვა საპატიო სიგელით და დიდი სამახსოვრო მედლით.**

## მოკლედ

**თბილისის** შინაგან საქმეთა სამმართველოს ბაზაზე შეიქმნა სპორტსაზოგადოება „დინამოს" რაისაბჭო №-2, გაიმართა კონფერენცია. რაისაბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს მილიციის პოდპოლკოვნიკი რ. გვენცაძე, მოადგილეებად — პოლკოვნიკი მ. ღუდუშაური და მაიორი თ. ლაკია.

**ჩატარდა** თბილისის შს სამმართველოს პირველობა საბრძოლო იარაღით სროლაში. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა სახანძრო დაცვის განყოფილებამ. პირად პირველობაში ჩემპიონები გახდნენ: შ/ს კაპიტანი თ. მახარაძე, მილიციის კაპიტანი ლ. ჩადუნელი და უმცროსი სერჟანტი ლ. ნოდია.

## ტელევიზია

**საქართველოს ტელევიზიის პირველი პროგრამით**

**ხუთშაბათი 9 VII**

**19.20** — ბიუროკრატების გალერეა — რედაქციაში წერილი მოვიდა

**შაბათი 11 VII**

**20.35** — მოქალაქე, საზოგადოება, კანონი — დანა, რომელიც ზურგში ჩაგვარტყეს.



## რადიო

**საქართველოს რადიოს პირველი პროგრამით**

**ორშაბათი 8 VII**

**16.45.** — სიფხიზლე ცხოვრების ნორმა უნდა გახდეს (მ).

**შაბათი 11 VII**

**19.00** — „შოლტი" — რადიოჟურნალი

ჩვენი მისამართია: თბილისი 380025. გოგოლის ქ. № 23. ტელეფონი: 99-66-72, 99-1-41-22
НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380025. УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОН: 99-1-41-24.

რედაქტორი ა. კობალაძე

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბაში (ხოშარაულის ქ. № 29) უი 07919